# ახალი შირაკი
## Ахали Шираки

საქართველოს კომუნისტური პარტიის წითელწყაროს რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.

Орган Цителцкаройского райкома Коммунистической партии Грузии и райсовета депутатов трудящихся.

გამოცემის მე-19 წელი
Год издания 19-й

№ 39 (1.605)
პარასკევი
ПЯТНИЦА
30
მარტი
МАРТА

ფასი 15 კაპ.
Цена 15 коп.



### დღეს ნომერში:

— დიადი ლენინური პარტია (1-ლი გვერდი).
— დიდება, დიდება... (1-ლი გვერდი).
— პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
— ორგანიზებულად ჩავატაროთ საანგარიშო-საარჩევნო კრებები სამომხმარებლო კოოპერაციაში (მე-2 გვერდი).
— Колхозный Дом сельскохозяйственной культуры (3-стр.).
— საბოლოო ცნობა ატომგულის საკვლევი გაერთიანებული ინსტიტუტის საკითხზე საერთაშორისო თათბირის შესახებ (მე-4 გვერდი).
— აგრონომის საუბარი (მე-4 გვერდი).


## კეთილმოწყობილი გავხადოთ სასოფლო გზები

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში, რომელიც მოიწონა და ერთხმად მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ნათქვამია: „1960 წელს საავტომობილო მრეწველობამ ჩვენს ქვეყანას უნდა მისცეს 650.000 სატვირთო და მსუბუქი ავტომობილი და ავტობუსი". მათი ნორმალური მუშაობისათვის კი საჭიროა დღითიდღე უმჯობესდებოდეს და კეთილმოწყობილი ხდებოდეს სატრანსპორტო გზები, რადგან მათზე დიდადაა დამოკიდებული ტრანსპორტის ვარგისიანობა და ავარიების თავიდან აცილება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რაიონში გასულ წელს მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა გზების მშენებლობისა და მათი კეთილმოწყობისათვის, ეს ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ტრანსპორტის გაზრდილ მოთხოვნილებას.

სოფლის გზების სამუშაოთა სწორი წარმართვა ადგილობრივი სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობათა გამგეობების უშუალო მოვალეობაა. ისინი პირადი პასუხისმგებლობით უნდა წარმოებდნენ სასოფლო გზების მშენებლობას და მის კეთილმოწყობას.

ზემო ქედისა და ჯაფარიძის სასოფლო საბჭოების საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისიები ამ მხრივ მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. აღნიშნული სასოფლო საბჭოები და მათი საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისიები სისტემატურად ზრუნავენ გზების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოთა გაფართოებისათვის.

სოფლის გზების მშენებლობას კარგად ართმევენ თავს აგრეთვე ზემო მაჩხაანის და გამარჯვების სასოფლო საბჭოები.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს რაიონის საგზაო მშენებლობის განყოფილება. გზების კეთილმოწყობის საქმეში ადგილი აქვს ზერელე დამოკიდებულების შემთხვევებს, რის გამოც ზოგჯერ უხარისხოდ მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაოები.

წითელწყაროს სადაბო საბჭო, მისი კეთილმოწყობის მუდმივი კომისია და რაიაღმასკომის კომუნალური განყოფილება კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საგზაო მშენებლობის დარგში, რის გამოც დაბის ტერიტორიის მთელ რიგ ქუჩებში (ლენინის, ბლუაშვილის, ორჯონიკიძის, ფალიაშვილის და სხვ.) წვიმების დროს შეუძლებელი ხდება ადამიანთა მიმოსვლა, ავტოტრანსპორტის მოძრაობა. კეთილმოუწყობელი გზები არის აგრეთვე სოფელ არხილოს კალოში, არბოშიკში, ქვემო ქედში და საბათლოში.

სასოფლო საბჭოების და მათი საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისიების ყოველდღიურ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს გზების მშენებლობის სამუშაოთა დროული შესრულება, ამ საქმეში მათ ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობათა გამგეობებმა, სოფლის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რაიონის საგზაო განყოფილებამ.



Кемеровская область. В Сталинске развернулось широкое жилищное строительство. На центральной улице города—проспекте Молотова—строители воздвигают четыре многоэтажных жилых дома. В этом году металлурги получат еще около 300 благоустроенных квартир. Коллектив второго строительного участка добился отличных трудовых успехов. В условиях суровой сибирской зимы он выполнил февральский план на 118 процентов.

На снимке: строительство новых жилых домов.

Фото В. Скоробогатова.

Фотохроника ТАСС

## დიადი ლენინური პარტია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ხალხის საყოველთაო მოწონება ჰპოვა. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად აცხადებენ:

— შენთან ერთად, ლენინური პარტიავ, ჩვენ წავალთ წინ, ახალ - ახალი გამარჯვებისაკენ!

მშობლიური პარტია საბჭოთა ხალხს მიაჩნია დიად წარმმართველ, მაორგანიზებელ და გარდამქმნელ ძალად. კომუნისტური პარტია, ამბობდა ვ. ი. ლენინი, ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინიდისია. მან სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. მისი ხელმძღვანელობით მიღწეულია დიდი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში. ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომელი ბრძოლით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიამ ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მშრომელებში, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა მასებშიც.

ჩვენი პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს თავისი ერთგულებით ლენინიზმისადმი. ლენინური იდეებით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ყველა გადაწყვეტილება.

ჩვენი პარტიის სულისკვეთება და ხასიათი მოითხოვენ დავიცვათ უმაღლესი ლენინური პრინციპი — ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, შინაპარტიული დემოკრატიის გაშლა. კომუნისტთა პარტია არის თვითმოქმედი ორგანიზაცია, ნებაყოფლობითი საბრძოლო კავშირი თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი მიზნის, მოქმედების დისციპლინის ერთიანობით. არა ანგარება, არა პირადი სარგებლობა აიძულებს ადამიანებს შევიდნენ ამ კავშირში, არამედ კომუნიზმისადმი სამსახურის კეთილშობილური მიზანი. მთელი საქმიანობა პარტიულ ორგანიზაციებში წარმოებს მუშაობაში ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

„ეს იმას ნიშნავს,—განმარტავდა ვ. ი. ლენინი,—რომ პარტიის ყველა საქმეს, უშუალოდ თუ წარმომადგენლების საშუალებით, უძღვება პარტიის ყველა წევრი თანასწორი უფლებით და ყოველგვარი გამონაკლისის დაუშვებლად; ამასთან პარტიის ყველა თანამდებობის პირი, ყველა ხელმძღვანელი კოლეგია, ყველა დაწესებულება—არჩეული, ანგარიშვალდებულია და იცვლება" (თხზ. ტ. 11, გვ. 524).

პარტიული აქტივისტი ადმინისტრატორი კი არ არის, არამედ წინამძღოლი, ორგანიზატორი, აღჭურვილი კომუნისტთა და უპარტიოთა ცოცხალი პარტიული, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა საკითხის თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა, მტკიცედ დაიცვას შინაპარტიული დემოკრატია, ხელი შეუწყოს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მკაცრად დაგმო ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდები, რომლებიც აქა-იქ არის დამკვიდრებული. არ უნდა დავუშვათ, რომ ქაღალდი ფარავდეს ადამიანებთან მუშაობას, ხოლო გადაწყვეტილებებს არ მოსდევდეს ცოცხალი საქმე, რომ ისინი არ ხორციელდებოდნენ. რაც უფრო სწრაფად და გადაჭრით დავაღწევთ თავს დეკლარაციულობას, ზერელობასა და კანცელარიულობას, მით უფრო კარგად წავა ჩვენი საქმე. პარტიული ორგანიზაციების ცოცხალი ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერებას ხელს შეუწყობენ ყრილობაზე მიღებული ნაწილობრივი ცვლილებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში.

პარტიის ბრძოლისუნარიანობა და ორგანიზებულობა ბევრად არის დამოკიდებული მის პირად შემადგენლობაზე. ამიტომ პარტია მუდამ ზრუნავს თავისი რიგების თვისებრივ ზრდაზე, იმაზე, რომ პარტიის წევრად და კანდიდატად ინდივიდუალურად მიიღოს უმთავრესად მოწინავე მუშები და კოლმეურნეები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ უდიდესი ყურადღება დაუთმო იდეოლოგიურ მუშაობას, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის შეგნების გაძლიერებას. პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მარქსისტულ-ლენინური იდეების შემოქმედებითი განვითარება და მათი განხორციელება. აღმოვფხვრათ იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტას ჩვენი მჩქეფარე ცხოვრებისაგან, დავუკავშიროთ იგი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, მთელი პროპაგანდა დავუმორჩილოთ მატერიალური და კულტურული დოვლათის შექმნის ამოცანებს.

მაშასადამე, თვითეული პროპაგანდისტის და აგიტატორის მოვალეობაა არა მარტო ის, რომ განუმარტოს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, არამედ აგრეთვე დაეხმაროს მშრომელებს პრაქტიკულად განახორციელონ იგი. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მთელი ჩვენი კადრების შეიარაღებას ეკონომიური ცოდნით. უამისოდ წარმატებით ვერ განვახორციელებთ მეურნეობის ხელმძღვანელობას, სწრაფი ტემპით ვერ განვავითარებთ საზოგადოებრივ წარმოებას.

**ა. კრასოვი.**

## დიდება, დიდება...

ჩემს დიად სამშობლოს, თვალუწვდენ სამშობლოს,
საბჭოთა ქვეყანას—მარადის დიდება,
დიდება, დიდება ვარსკვლავს ჩაუქრობელს,
მსოფლიოს იმედად კრემლზე რომ ბრწყინდება.

მშვიდობის, სიცოცხლის დიდ მხარეს დიდება,
დიდება, დიდება ხალხს, ძლიერს, ბედნიერს,
მამულს რომ გავხედავ, სიმღერა მინდება,
როგორ არ ვუმღერდე ამ ედემს მშვენიერს.

ახალი დიდების ამ ხუთწლედს დიდება,
მშრომელის მარჯვენას, მოუღლელ მარჯვენას,
გმირული შრომის ამ ახალ აზვირთებას
დიდება, დიდება წინსვლას, გამარჯვებას.
ვაშა და დიდება ამ ხანას ბრწყინვალეს,
ახალ სახახლეებს და მაღალ ხარაჩოს,

დიდება, დიდება დათოვლილ მყინვარებს,
დიდება მათ, ვინაც ჩვენ საზღვრებს სდარაჯობს.

ჩვენს დროშას დიდება, ლაღად რომ ფრიალებს,
რომ მიგვაქვს ამაყად წინ, გამარჯვებისკენ,
დიდება, დიდება იმ ადამიანებს,
ვინც დროშა დაიცვეს და მზეს ვერ ელირსნენ.
ჩვენს ხალხთა ერთობას, მათ ძმობას, დიდება,
მათ კავშირს ურღვევს და მათ დიად სიყვარულს,
მშვიდობას დიდება, უფრო რომ მტკიცდება,
დიდება სიცოცხლეს, მზესა და სიხარულს.

მსოფლიოს იმედად დგას კრემლი მაღალი
და მისი ვარსკვლავი მზის სხივით ბრწყინდება,
დიდება ჩვენს დიდ ხალხს და ჩვენს გმირ პარტიას.
საბჭოთა სამშობლოს დიდება, დიდება!

**ანზორ ჯალალოვი.**

## პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

# არბოშიკელი კომუნისტები გულდასმით სწავლობენ პარტიის XX ყრილობის მასალებს

ამ დღეებში არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი მ. ალადაშვილი) ფართოდ გაიჩაღა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების შესასწავლად.

ყრილობის მასალების შესწავლისადმი განსაკუთრებით ცხოველ ინტერესს იჩენენ სოფლის კომუნისტები, კომკავშირლები. აქ ჩამოყალიბებულმა კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელმა სემინარმა და პოლიტიკური სწავლების წრეებმა, რომლებშიც ათობით კომუნისტი და კომკავშირელია გაერთიანებული, ახლა თავიანთი მეცადინეობები ყრილობის მასალების შესწავლას მიუძღვნეს. პროპაგანდისტებმა უკვე შეადგინეს სამუშაო გეგმები და შინაარსიანად ატარებენ მეცადინეობებს.

კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელმა ს ე მ ი ნ ა რ მ ა უკანასკნელი მეცადინეობები ყრილობის მასალების შესწავლას დ ა უ თ მ ო. საუბარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ჩვენი კოლმეურნეობის სამეურნეო აღმავლობის პერსპექტივები“—ჩაატარა პარტბიუროს მდივანმა ამხ. მ. ალადაშვილმა. მომხსენებელმა საუბრის მომზადებისას ფართოდ გამოიყენა ადგილობრივი მასალები, კოლმეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანები მჭიდროდ დაუკავშირა სამეურნეო აღმავლობის პერსპექტიულ გეგმას.

ყრილობის მასალების შესაბამისად მოამზადეს აგრეთვე თავიანთი მოხსენებები კომუნისტებმა ა. გონაშვილმა, ვ. ლომაშვილმა, ა. ბაღაშვილმა და ს ხ ვ ე ბ მ ა, რომლებიც ამ დღეებში გამოვლენ მსმენელთა წინაშე.

სემინარში გაერთიანებული აქტივისტები ა. ბაღაშვილი, ზ. სეფიაშვილი, ა. პატატიშვილი და სხვები არ კმაყოფილდებიან მეცადინეობაზე მოსმენილი საკითხებით, ისინი დამოუკიდებლადაც მეცადინეობენ ყრილობის მასალებზე და მთელ თავიანთ ცოდნასა და ენერგიას ახმარენ საკოლმეურნეო დოვლათის შემდგომი ზრდის საპატიო საქმეს.

**მ. ჭრელაშვილი,**

წავლელი სემინარის ხელმძღვანელი.

# ორგანიზებულად ჩავატაროთ საანგარიშო-საარჩევნო კრებები სამომხმარებლო კოოპერაციაში

სამომხმარებლო კოოპერაციის წესდებით და ზემდგომი ორგანოების მითითების საფუძველზე მიმდინარე წლის მარტ-აპრილში ტარდება სოფლისა და რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებები. რაიკოოპკავშირის სოფლის კოოპერატივის გამგეობებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა აქედანვე უნდა გაშალონ საჭირო მუშაობა, რათა საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, გამოაშკარავდეს ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც ჯერ კიდევ გააჩნია სამომხმარებლო კოოპერაციას თავის მუშაობაში.

რაიკოოპკავშირის სოფლის კოოპერატივის გამგეობებისა და მთელი რიგი დახლის მუშაკების ენერგიული მუშაობის შედეგად გასულ წელს საქონლის საცალო ვაჭრობის ბრუნვის გ ე გ მ ა შესრულებულია 105,9 პროცენტით, საბითუმო —107,2 პროცენტით, ხოლო საპაიო გამოსაღები —131 პროცენტით. გადაჭარბებითაა შესრულებული აგრეთვე საზკვების, პურის ცხობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები.

საგეგმო დავალებათა შესრულებაში კარგი მაჩვენებლები დას სოფლის კოოპერატივებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქონელბრუნვის გეგმის შესრულების მხრივ ვერ იქნა შენარჩუნებული გასული წლის მიღწევები, რაც გამოწვეულია წითელწყაროს სოფკოოპერატივის, რაიმაღაზიის, საზკვების ობიექტებისა და სხვათა სუსტი მუშაობით.

საქონელბრუნვის გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეულია აგრეთვე იმითაც, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის განხორციელებული მაღაზიებში საქონლის რგოლური წესით შეზიდვის მეთოდი, ადგილი აქვს საქონლის გადამალვის ფაქტებს, მაღაზიები ხშირად სამუშაო საათებში დაკეტილია, ნაკლებად ხდება საქონლის გადაჯგუფება.

უნდა ითქვას, რომ რაიონის მთელ რიგ მაღაზიებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფასების დამახინჯების შემთხვევებს. მაგალითად ზემო ქედის № 3 მაღაზიაში პირველი ხარისხის ვერმიშელი ნაცვლად 3 მანეთისა და 90 კაპიკისა იყიდებოდა უმაღლესი ხარისხის ფასებში, ა რ ბ ო შ ი კ ი ს კოოპერატივის მირზაანის მაღაზიაში გ ა მ გ ე გამყიდველი ოთარაშვილი ჩამოფასებულ საქონელს დადგენილ ფასებზე მეტად ყიდდა.

იყო შემთხვევები, რ ო ც ა მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად ხდებოდა საქონლის შემოზიდვა. ასე მაგალითად, ზემო ... კოოპერატივის ყოფილი ... კის ჯანაშვილის, ... კოოპერატივის გამგეობის ... ფილი თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა ... ზ. ბაღაშვილის მიერ მოსახლე... ობის მოთხოვნილების ... ლელად შემოზიდული იქნა ... ქონლის დიდი რაოდენ... რომელიც ჩაწოლილია და ... სი რეალიზაცია ჯერაც არ ... ხდარა.

მოსახლეობის მოთხოვნ... ბის შესწავლის გარეშე საქო... ლის შემოზიდვა, ფასების ... მახინჯება დიდი დანაშაუ... ამ მახინჯი გამოვლინებ... წინააღმდეგ ბრძოლაში და ... ხმარებელთა კულტურული ... სახურების გატარების საქმე... ჯერ კიდევ ნაკლებ დახმარე... გვიწევენ სადუქნო და სარე... ზიო კომისიები.

საბჭოთა კავშირის კომუნი... ტური პარტიის XX ყრილო... ბამ თავის ისტორიულ გადა... წყვეტილებებში ს ე რ ი ო ზ... ამოცანები დასახა მოსახლე... ბის სასაქონლო ასორტიმენ... ტით უზრუნველყოფის შემდ... გ ო მ ი გაუმჯობესებისათვ... ვაჭრობის მუშაკების მოვალე... ბაა ღირსეულად შეასრულო... მშრომელთა სასაქონლო ასორ... ტიმენტით მომარაგების საქმე... აღმოფხვრან მათს მუშაობა... ში არსებული ნაკლოვანებან...

**ა. ...ძე...,**

რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

# მომჭირნეობით ვხარჯოთ საწვავ-საცხები მასალა

**ი. კავსაძე,**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

★

პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია ამოცანა „დაცულ იქნეს მტს-ებში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი, მიღწეულ იქნეს სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება დაახლოებით 16 პროცენტით“. ერთ-ერთი ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს ამ დავალების წარმატებით შესრულებას, საწვავ-საცხები მასალის მომჭირნეობით ხარჯვაა. ამისათვის კი საჭიროა მოეწყოს საწვავის სათანადოდ შენახვის სწორი გამოყენება, ზუსტი აღრიცხვა და დანაკარგების ლიკვიდაცია.

როგორც წესი, სატრაქტორო ბრიგადებში—საწვავ-საცხები მასალა უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ ფარდულებში ან ნახევრად მიწურებში, რომლებიც საველე სადგომს დაშორებული არიან 150-200 მეტრით. ნავთობ-საცავის ირგვლივ მიწა ერთი მეტრის სიგანეზე უნდა შემოვხნათ. აქვე უნდა გვქონდეს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი. ბენზინიანი კასრები უნდა შევინახოთ მხოლოდ მიწის ქვეშ.

სატრაქტორო ბრიგადებში საწვავის გაწყობისათვის აუცილებლად უნდა გვქონდეს დასაწყობი ურემი, რომელსაც ექნება ტუმბო, ბუნიკები, სპეციალური ძაბრები, ბენზინის საზომი ჭურჭელი და სხვა მოწყობილობა. ნავთობ-ბაზიდან საწვავ-საცხები მასალის გაცემის დროს კასრები არ უნდა გავავსოთ, რომ არ გამოვიწვიოთ დანაკარგები. საცხები მასალები სატრაქტორო ბრიგადებს უნდა მიეცეთ გაცემული საწვავის პროცენტული შეფარდების მიხედვით.

სატრაქტორო ბრიგადებს საწვავ-საცხები მასალები ეძლევათ მხოლოდ ბრიგადირის ან მისი თანაშემწის მოთხოვნის საფუძველზე. ბრიგადაში საწვავ-საცხები მასალების სწორი ხარჯვის საბუთად ითვლება ტრაქტორისტის სააღრიცხვო ფურცლის საფუძველზე კოლმეურნეობის მიერ შესრულებული სატრაქტორო სამუშაოს მიღების აქტი.

საწვავ-საცხები მასალის ხარჯვის შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების შეუფერხებელ მუშაობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური მოვლის წესების დაცვას. სატრაქტორო ბრიგადაში ყოველდღიურად ერთი ტრაქტორიც რომ იყოს მოუწესრიგებელი, თვეში 150 კილოგრამამდე საწვავი მასალა შეიძლება დავკარგოთ. საწვავის ზედმეტ გადახარჯვას იწვევს დაზიანებული გუთნით, სათესით და სხვა მანქანებით მუშაობა.

საწვავ-საცხები მასალების მომჭირნეობით ხარჯვის საქმეში მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს თელავის, მახარაძის, ტიბაანის და რესპუბლიკის სხვა მტს-ებმა. საწვავის ეკონომიის საქმეში დიდ წარმატებას მიაღწია მახარაძის მტს-ის პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ს. ხელაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 127 პროცენტით შეასრულა წლიური საწარმოო დავალება და დაზოგა 13 ათასი კილოგრამი საწვავი. ბრიგადის წევრებს საწვავის ეკონომიის მთავარ პირობად ტრაქტორებისა და სხვა ს ა ს ო ფ ლ ო-სამეურნეო მანქანების ყოველდღიური მ ო ვ ლ ა მიაჩნიათ. მუშაობის დაწყების წინ მექანიზატორები გულდასმით ამოწმებენ ტრაქტორების მზადყოფნას და მუშაობას იწყებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდებიან, რომ ყველაფერი წესრიგზეა. ტექნიკურ შემოწმებას ახორციელებენ დაწესებულ ვადებში. მინდვრად ტექნიკური მოვლის ჩატარების დროს ტრაქტორისტებთან ერთად მუშაობენ თვითონ ბრიგადირი და მისი მოადგილე. ისინი ყურადღებით ამოწმებენ ანთების, კ ვ ე ბ ი ს, სათბობი აპარატურის, შეზეთვის სისტემებს, ბარბაცისა და მუხლანა ღერძის საკისრებს, წამყვან და გადამცემ მექანიზმებს და სხვა ნაწილებს, რაც უზრუნველყოფს ტრაქტორების ნორმალურ მუშაობას და საშუალებას იძლევა თავიდან აცილებულ იქნეს საწვავის ზედმეტი ხარჯვა.

საწვავ-საცხები მასალის ეკონომიურად ხარჯვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციას, დასამუშავებელი ფართობის წინასწარ მომზადებას. ამ მხრივ ნაყოფიერად მუშაობს წყალტუბოს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ო. ხოჯავა ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ფართობის წინასწარ მომზადებას, მინდვრის საქცევრებად დაყოფას. ბრიგადის წევრები მემინდვრეებთან ერთად წინასწარ აზუსტებენ ნაკვეთის სიგრძეს, სიგანესა და მისასვლელ გზებს, მათთან ერთად წმენდენ დასამუშავებელ ნაკვეთს ნახორის, ბუჩქების, ძეძვისა და ქვისაგან, ასწორებენ ქვლებს, შლიან ორგანული სასუქის გროვებს. თუ ნაკვეთზე დიდი ორმოები და კლდელორღებია, სვამენ გამაფრთხილებელ ნიშნებს, ხვნის მიმართულებას საზღვრავენ მინდვრის ზომის, კონფიგურაციისა და რელიეფის მიხედვით, აღნიშნავენ მოსაბრუნებელ ზოლებს, რაც სხვადასხვა მარკის ტრაქტორებისათვის სხვადასხვაა. საქცევი განისაზღვრება აგრეთვე ნაკვეთის სიგრძის მიხედვით. თუ ნაკვეთი 300 მეტრი სიგრძისაა, მაშინ ერთი გუთნით მომუშავე კდ—35 და სტზ მარკის ტრაქტორების საქცევის სიგანე 40 მეტრს შეადგენს. თუ ნაკვეთს 700 მეტრი სიგანე აქვს, საქცევის სიგანეს იგივე მარკის ტრაქტორებისათვის 60 მეტრს იღებენ, ხოლო სტზ—ნატის და დტ—54 მარკის ტრაქტორებისათვის 70 მეტრს. ყველა შემთხვევაში ნაკვეთების დამუშავების შემდეგ მისაბრუნებელ ზოლს ამუშავებენ გარდიგარდმო.

ასეთი წესით მუშაობამ საშუალება მისცა ო. ხოჯავას ბრიგადას 194 პროცენტით შეესრულებინა გასული წლის საწარმოო დავალება. ამასთან ბრიგადამ დაზოგა 14.980 კილოგრამი საწვავი მასალა. ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელებით ბრიგადამ 10 მანეთით და 30 კაპიკით შეამცირა თვითეული ჰექტარი მიწის დამუშავების თვითღირებულება.

საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ მოწინავე მექანიზატორთა დადებითი გამოცდილება, ყველა ღონისძიებით შევეცადოთ მომჭირნეობით ვხარჯოთ ძვირფასი საწვავ-საცხები მასალები და ამ გზით მივაღწიოთ სატრაქტორო სამუშაოთა ღირებულების შემცირებას.

## სასკოლო ცხოვრება

# შეფის დახმარებით

პოლიტექნიზაციის განხორციელების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც გადაჭრით მოითხოვს გავაუმჯობესოთ მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმე, შევაყვაროთ ახალგაზრდებს საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა.

ამ მხრივ კარგად მუშაობს გამარჯვების საშუალო სკოლის პედკოლექტივი. მოსწავლეთა შორის პოლიტექნიკური ცოდნის გავრცელება, სასკოლო ნაკვეთებზე საცდელი მუშაობა და გამარჯვების მტს-ის სახელოსნოებში პრაქტიკული მეცადინეობები ხელს უწყობენ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენს სკოლას შეფობას უწევს გამარჯვების მტს-ი, რომელმაც უკვე გადმოგვცა ხმარებიდან გამოსული, მაგრამ პოლიტექნიკური სწავლებისათვის ვარგისი მანქანა-იარაღები, ტრაქტორის ცალკეული ნაწილები: ბლოკი, ცილინდრი, დგუში, ბარბაცა, საკისრები, კომბაინის ძრავა და სხვ. შეფი დაგვეხმარა აგრეთვე სკოლის სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთის მოხვნაში.

თავის მხრივ ჩვენი სკოლა დახმარებას უწევს მტს-ს. მექანიზატორებთან ხშირად გამოდიან მასწავლებლები ლექცია-საუბრებით, ხოლო მოსწავლეთა ძალებით ეწყობა კონცერტები. ჩვენი სკოლის მოსწავლეები მტს-ს დახმარებას უწევენ აგრეთვე ლითონის ჯართის შეგროვებაში.

გამარჯვების საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები ვალდებულებას კისრულობენ მტს-ის მომსახურე ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ზაფხულის არდადეგების პერიოდში კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან ერთად თავდადებით იმუშაონ უხვი მოსავლის მოყვანისა და მისი დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

**თ. გონაშვილი,**
გამარჯვების საშუალო სკოლის დირექტორი.

## მზად ვართ პარსვის დაწყებისათვის

ჩვენი მტს-ის მექანიზატორები წარმატებით ემზადებიან ცხვრის საგაზაფხულო პარსვისათვის. სრულ მზადყოფნაშია საპარსი აგრეგატები.

აგრეგატის უფროსებად დანიშნენ ამ საქმის კარგად დაუფლებული მექანიზატორები: ფ. პოპიაშვილი, ი. ჭუჭულაშვილი, ს. კოხტაშვილი და ა. მოსაშვილი.

გადაწყვეტილი გვაქვს ხელსაყრელი ამინდების დადგომისთანავე შევუდგეთ პარსვას. ჩვენი მექანიზატორები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ პარსვა ჩაატარონ სრულ ზოოტექნიკურ ვადებში და სახელმწიფოს მისცენ მეტი მაღალხარისხოვანი მატყლი.

**ვ. ფიცხელაური,**
გამარჯვების მტს-ის დირექტორი.

## მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის

წლების მანძილზე დაბალ დონეზე იდგა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება სოფელ არხილოს კალოს კოლმეურნეობაში, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ აქ არ ჰქონდათ პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ კიროველმა მეცხოველეებმა მეწველი პირუტყვი ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს, გაამდიდრეს კვების რაციონი და მნიშვნელოვნად აამაღლეს წველადობა.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადაზე 2 წლით ადრე შესრულებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის კიროველმა მეცხოველეებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებას. გარდა იმისა, რომ მათ გასულ წელს მეძროხეობის ფერმისპირა ნაკვეთზე 18 ჰექტარზე დათესეს შემოდგომის ქერი, რომელსაც ამჟამად იყენებენ ძროხების საძოვრად, წელს ამავე მიზნით დათესავენ ქერს 20 ჰექტარ ფერმისპირა ნაკვეთზე. საკვები კულტურების დასათესად მომზადებულია აგრეთვე 18 ჰექტარი პლანტაჟი, ხოლო ამ კულტურების სათესად 10 ჰექტარს კიდევ მოამზადებენ.

სასილოსედ და მწვანე საკვების გაფართოებისათვის ქერის ნაწვერალზე 50 ჰექტარზე დათესავენ სიმინდს, რისთვისაც მზად აქვთ კარგი ხარისხის თესლი.



Московская область. На скотном дворе совхоза „Люберецкие поля орошения" введена механизированная уборка навоза при помощи канатно-скреперного устройства „СУВИМ", конструкция которого разработана сотрудниками Всесоюзного научно-исследовательского института механизации сельского хозяйства.

Вдоль стойл под полом проложены каналы. В канале по замкнутому канатному контуру передвигается ящик-скрепер, который подбирает и вывозит навоз, сбрасываемый скотником из стойл в канал. Из канала навоз поступает в бункер или сбрасывается непосредственно в кузовы автомашин для вывозки на поля. Устройство приводится в движение электромотором мощностью 2,8 киловатта через редуктор и барабанную лебедку.

На снимке: скотница Н. Д. Шкирина сметает навоз в щель, проходящую над канатно-скреперным устройством. (Часть канала показана на снимке без щитов, закрывающих канал сверху. Внутри виден передвигающийся по каналу ящик-скрепер).

Фото О. Кузьмина. Фотохроника ТАСС

## ჩვენ გვწერენ

### რატომ არ მუშაობს რადიო დილის საათებში

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისიდან რადიოგადაცემები იწყება დილის 6 საათიდან, ხოლო რატომღაც რაიონის ადგილობრივი რადიოკვანძი 7 საათსა და 40 წუთზე იწყებს ტრანსლაციას. უფრო მეტიც, კვირა დღეებში იგი სულაც არ მუშაობს.

რადიომსმენელები მოითხოვენ, რომ ადგილობრივმა რადიოკვანძმა დილის 6 საათზე დაიწყოს მუშაობა.

**რადიომსმენელი.**

## ნაცნობი ქუჩებიდან

წითელწყაროს რაიონისშსახოფლო საბჭოებისა და სადაბო საბჭოს მუშაკები ყოველ წლიწადს ვრცელ დადგენილებებს ღებულობენ რაიონში საუბნო გზების მშენებლობისათვის, მაგრამ ზოგჯერ ასეთი დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებას ყურადღებას არ აქცევენ.




# Колхозный Дом сельскохозяйственной культуры

В колхозе „Путь к коммунизму", Астрадамовского района, Ульяновской области, большое внимание уделяют распространению достижений агрономической науки и передового опыта. Центром этой работы здесь служит Дом сельскохозяйственной культуры. В нем имеются аудитории, лаборатория, библиотека, наглядные учебные пособия. Для ведения опытной работы за ним закреплен участок земли.

Руководство деятельностью дома осуществляет советом, в который входят председатель артели, зоотехник, агроном, два бригадира и несколько передовых колхозников. Правление колхоза на своих заседаниях регулярно слушает сообщения о проводимой домом работе и рассматривает планы его работы.

Здесь уже несколько лет работают трехгодичные агрозоотехнические курсы. 38 курсантов получили звание мастера сельского хозяйства первого разряда. В нынешнем учебном году на курсах обучается 15 полеводов и 35 животноводов. Занятия в группах ведут зоотехник А. Воронкова и агроном А. Зимин. Здесь же с рассказами о своем опыте выступают передовики колхозного производства.

Наряду с расширением агрономических и зоотехнических знаний слушатели курсов приобретают навыки и умение самостоятельно проводить лабораторные анализы по определению кислотности почв, влажности и всхожести семян. Они также ведут наблюдения за снежным покровом почв, берут пробы озимых. Все это способствует их творческой активности в подъеме общественного хозяйства.

По почину опытных мастеров сельскохозяйственного производства колхоз одним из первых в районе перешел на квадратно - гнездовой способ посева кукурузы, подсолнечника и посадки овощей в торфоперегнойных горшочках.

Долгое время артель ощущала недостаток кормов. Стоял вопрос, как создать прочную кормовую базу? В решении этого жизненно важного вопроса опять-таки инициаторами выступили колхозные опытники. Они внесли предложение увеличить производство кормов за счет расширения посевов кукурузы. Правление и члены артели горячо поддержали это предложение. В 1955 году кукурузой засеяли 235 гектаров и с каждого из них получили в среднем по 430 центнеров зеленой массы. На каждую корову заложили по 6 тонн силоса. Получен хороший урожай и других кормовых культур—тыквы, свеклы, кабачков.

Успешно создавая прочную кормовую базу, колхозники улучшают содержание продуктивного скота. Сначала шестьдесят коров, а затем все стадо колхоз перевел на стойлово-лагерное содержание с применением зеленого конвейера. Опыт показал, что это экономически выгодно: продуктивность коров значительно повысилась. В минувшем году от каждой коровы в среднем получено 2.034 килограмма молока.

Большое внимание в колхозе уделяется выращиванию телят в неотапливаемых помещениях. С животноводами проводились беседы, рассказывалось им о передовом опыте выращивания телят в совхозе „Караваево" Костромской области. По инициативе Дома сельскохозяйственной культуры в колхозном клубе демонстрировались кинофильмы „Содержание и воспитание телят", „Кормление сельскохозяйственных животных". В результате этого за последние два года на фермах сохранен весь молодняк крупного рогатого скота.

О работе Дома сельскохозяйственной культуры артели „Путь к коммунизму"—участника Всесоюзной сельскохозяйственной выставки 1955 года идет хорошая слава. Познакомиться с его работой приезжают колхозники-опытники, учащиеся старших классов средних школ Ульяновской области. В минувшем году здесь побывало около 1.500 экскурсантов. Главвыставком ВСХВ отметил плодотворную работу дома, премировал его библиотекой стоимостью в 10.000 рублей. Заведующая домом зоотехник А. Воронкова награждена Малой серебряной медалью.

**М. ПЛАТОНОВ.**
Директор павильона административных и культурных учреждений колхозного села ВСХВ.